რამდენი გუნდია უმაღლეს ლიგაში?

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ქაირათი” (ალმა–ათა) 2:0 (0:0).

“დინამო”: გაბელია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (მუჯირი), დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, მინაშვილი (ყიფვიანი), ჩელებაძე, შენგელია.

“ქაირათი”: უბიკინი, კოჩუბინსკი, ტალგაევი, ბაიშაკოვი, გოსტენინი, ნიკიტენკო, ნეხტი (იგამბერდიევი), ლხოშერსტნიხი (შბიევი), ფომინი, სიჩკორუკი, პინჩუკოვი.

მსაჯი: ვ. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

გოლები: ჩელებაძე (87–ე, პენალტით და 89–ე წუთები).

გაფრთხილებული არიან უბიკინი და იგამბერდიევი.

დუბლიორები – 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. გოლები ჯოხაძე (მე–7 წუთი), კაკილაშვილი (75–ე პენალტით), ლექსინი (81–ე, პენალტით).

??????????????????????????????

კარგი თამაში იყო და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში – მეტოქისთვის ხელის შეშლა, აღარაფერს ვამბობთ არასაფეხბურთო მეთოდებით ხელის შეშლაზე. ცხრილის სათავეში იყვნენ თუ მისგან კარგა მოშორებით, თბილისელებს არასდროს გაუხდიათ კერპად ფიზიკური ძალა და უხეშობა. ამგვარ ყალიბში სავსებით ორგანულად თავსდება მოსკოვის “დინამო”, კიევის “დინამო” და კიდევ რამდენიმე კოლექტივი. არც ეს გუნდები ივიწყებდნენ ფეხბურთს ერთი ან ორი ქულისთვის. უმკაცრესი კრიზისის წლებშიც კი წინ იყურებოდნენ, იქიდანვე ამზადებდნენ ნიადაგს მომავალი გამარჯვებებისთვის. ასეთ კოლექტივებს მუდამ საშუალო, უფერულ გუნდად დარჩენას დროებითი წარუმატებლობა ერჩივნათ, ერთთავად გრძნობდნენ ვალს არა მარტო გუშემატკივართა, არამედ ფეხბურთის მიმართაც. ალბათ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ სწორედ ამგვარად მოაზროვნე, ამგვარად მოთამაშე საფეხბურთო კოლექტივი არის საერთო პროგრესის ფეძემდებელი.

ალბათ აუცილებელი არ არის იმათი ჩამოთვლა, ვინც ტყუილუბრალოდ აკარგვინებს დროს მაყურებელსაც, იმ კოლექტივებსაც თავისი სიტყვის თქმა რომ შეუძლიათ, მუხრუჭად რომ ქცევიათ ჩვენი ფეხბურთის წინსვლას და სხვაც რომ არაფერი ვთქვათ, მწყობრიდან გამოჰყავთ ის თითო–ოროლა სპორტსმენიც, საბედნიეროდ, კიდევ რომ შემორჩენია ტალანტებით ისედაც ღარიბ ჩვენს ფეხბურთს.

შარშანდელ ჩემპიონსა და წლევანდელი გათამაშების ერთ–ერთ ლიდერზე, თბილისის “დინამოზეც” რომ გავჩუმდეთ, ქვეყნის ნაკრებს ერთობ საპასუხისმგებლო მატჩების წინ სწორედ იმ “ვითომ გუნდების” წყალობით გამოაკლდა არა ერთი და ორი ფეხბურთელი. თვითონ თბილისელთა ზარალი კი მართლაც აუწონავია – თითო მატჩში თითო ფეხბურთელი მაინც.

კარგია, რომ გაფრთხილებას გაფრთხილება მოსდევს, ინიშნება პენალტებიც, მაგრამ რა? ერთ მშვენიერ დღეს ჩემპიონს სათადარიგო შემადგენლობით მოუწევს მინდორზე გამოსვლა და ვითომ გასაკვირი იქნება, მარცხს მარცხი რომ მოჰყვეს?

ამასაც თავი დავანებოთ. რა დააშავეს იმ ფეხბურთელებმა, დაჟეჟილი წვივებით, დასიებული კოჭებით, თაბაშირში ჩასმული გადატეხილი ძვლებით, რომ წვანან ახლა? მხოლოდ ის, რომ კარგად თამაშობენ.

ასე შორს ვერ წავალთ. იმ ფურგონივით, ილიას "მგზავრის წერილებში" ფრანგის მახვილ თვალს შეუნიშნავი რომ არ დარჩენია. უფრო სწორად კი, ადგილიდანაც ვერ დავიძვრებით. ისევ მომრავლდება ფორვარდები, ჯანი რომ მოსდევთ, ფეხბურთისა კი ინჩი–ბინჩი რომ არ გაეგებათ, ისევ დავიწყებთ ტირილს მაღალი კლასის ფეხბურთელთა სიმცირეზე.

ალბათ დროულია (თუ დაგვიანებულიც არის) სსრ კავშირის სპორტკომიტეტში მოინახოს სათანადო მეთოდები ჩვენს მინდვრებზე გამეფებული ქაოსის დასაწმენდად. ალბათ დადგა დრო, მოვეშვათ უმაღლესი ლიგის წევრთა რაოდენობრივ ზრდასა და სხვა ხელოვნურ რეფორმებს, არავითარი კავშირი რომ არა აქვთ ჭეშმარიტ საფეხბურთო პროგრესთან. სხვაგვარად, უეჭველია, რომ ჩვენი, საკმაოდ მსხვილვარჯიანი საფეხბურთო ხე იმ, თავის ნებაზე მიშვებული ვაზივით დანაცრდება.

მატჩის პირველ წუთზე ჩელებაძის მიერ შექმნილი სახიფათო მომენტი ალმაათელთა კარის იერიშის ნიშნად იქცა. მე–15 წუთზე ძლიერად ურტყამს ქორიძე. 29–ე წუთზე მშვენივრად ითამაშა დარასელიამ, ზუსტადაც ჩააწოდა, მაგრამ შენგელია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ტაიმის ბოლო წუთზე ისევ დარასელიამ გამოიჩინა თავი – უბიკინმა ძლივძლივობით მოიგერია ბურთი.

"ქაირათის" ტაქტიკა თავიდანვე აშკარად გამოიკვეთა და ამ ტაქტიკაზე არც მერე აუღია ხელი. ბაიშკოვი (ადრე ნაკრებშიც იყო მიწვეული) და გოსტენინი პერსონალურად მეთვალყურეობენ ჩელებაძესა და შენგელიას. მთელი მატჩის მანძილზე ეს ორი მცველი ჩრდილივით დასდევს თბილისელთა ფორვარდებს და თუ შესვენებამდე ასე თუ ისე ასატანი იყო მეურვეთა მარწუხები, მეორე ტაიმში ეშხში შესულმა მცველებმა ყველაფერი დაივიწყეს – სად იყვნენ, რას თამაშობდნენ. მასპინძელთა ყოველი იერიშისას აუცილებლად გეცემოდათ თვალში ასეთი კადრი: ბაიშაკოვს ხელები წელზე შემოუხვევია ჩელებაძისთვის, ოთხივე ფეხიც ერთმანეთშია არეული. ზუსტად ასეთ "მზრუნველობას" იჩენენ შენგელიას მიმართაც.

შეხვედრის მიწურულს, როცა გარკვევით გამოიკვეთა ერთი ქულის გადარჩენის შესაძლებლობა, ალმაათელებმა კიდევ უფრო უმატეს მარწუხებს, თბილისელებსაც, სავსებით ბუნებრივია, რომ ნერვიულობა დაეტყოთ.

და მაინც, ამ საფეხბურთო უმსგავსობას (სხვანაირად ვერც მონათლავ სტუმართა ტაქტიკას) კეთილი ბოლო არ ეწერა. 87–ე წუთზე ქორიძის წაქცევისთვის (სპორტსმენმა ვეღარ გააგრძელა თამაში) "ქაირათს" კარში მსაჯი ალექსანდროვი 11–მეტრიან საჯარიმოს ნიშნავს. ჩელებაძემ შესაშური სიმშვიდით, ოსტატურად შეასრულა პენალტი – 1:0. ორიოდე წუთის შემდეგ კი მანვე უძლიერესი დარტყმით მეორე გოლი გაიტანა.

ი. ბერიაშვილი.

"ლელო", 5 მაისი, 1979 წ.